“სასტუმრო სიღნაღში”
ქ.სიღნაღში, ეკა ბეჟანიშვილის #26-ში (საკადასტრო კოდი: 56.14.43.225)
ტენდერი ხმის დამხშობი ბარიერების შესყიდვასა და მოწყობაზე

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილე კომპანიებისათვის

თბილისი, 2021 წ.

სარჩევი

1. სატენდერო მოთხოვნები და ზოგადი საკითხები 3
2. სატენდერო დოკუმენტაციის ჩაბარების წესი, თარიღი და საკონტაქტო ინფორმაცია 4
3. პროექტის აღწერა 4
4. დამკვეთის ვალდებულებები 4
5. კონტრაქტორის ვალდებულებები 5
6. სამუშაოების გეგმა-გრაფიკი 6
7. დოკუმენტაცია / საშემსრულებლო ნახაზები 6
8. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი 7
9. საავანსო გადახდა 7
10. დეფექტების გამოსწორების პერიოდი და ხარისხის უზრუნველყოფის დაკავება 7
11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია 7

1. სატენდერო მოთხოვნები და ზოგადი საკითხები

წინამდებარე ინსტრუქცია არ უნდა იქნას გაგებული როგორც დამკვეთის მიერ ხელშეკრულების დადების შესახებ გაკეთებული შემოთავაზება.

კონტრაქტორისთვის ცნობილია და ეთანხმება იმ გარემოებას, რომ დამკვეთი გადაწყვეტილებას ტენდერში გამარჯვებული კომპანიის გამოვლენასთან დაკავშირებით მიიღებს მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ და ტენდერში მონაწილის არ/ვერ გამარჯვების შემთხვევაში დამკვეთი თავისუფლდება ვალდებულებისაგან დაასაბუთოს მის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის: ტენდერის მონაწილე პირის დისკვალიფიკაციის, ტენდერის მონაწილე პირის არ/ვერ გამარჯვების მიზეზების შესახებ; ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენასთან დაკავშირებით.

მიუხედავად დამკვეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, კონტრაქტორი უარს აცხადებს დამკვეთისაგან მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება რომელიც მის მიერ გაწეული იქნება ტენდერში მონაწილეობისას ან/და სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტების მოსამზადებლად. ასევე კონტრაქტორი უარს აცხადებს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას შეიძლება მიადგეს ტენდერში მონაწილეობით ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებით.

ტენდერის ყველა დოკუმენტში ტერმინებს: „ტენდერის მონაწილე“, „მთავარი კონტრაქტორი“, „გენერალური კონტრაქტორი“ და „კონტრაქტორი“ ერთიდაიგივე მნიშვნელობა აქვს; ტერმინები: „დამკვეთი“, „დამსაქმებელი“, „მეპატრონე“ და შპს „სასტუმრო სიღნაღში“ ერთსა და იმავეს ნიშნავს.

- ტენდერის მონაწილემ უნდა გაითვალისწინოს, რომ შესასრულებელი სამუშაოებისთვის გამოსაყენებელ ძირითად მასალებზე იმოქმედებს ე.წ. “ღია წიგნის პრინციპი”, ანუ დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებულია წარმოადგინოს ფასის ადეკვატურობა და იმ შემთხვევაში თუ დაკმვეთი მიუთითებს მოცემული მასალების შედარებით იაფ მომწოდებელს ის ვალდებულია გაითვალისწინოს დამკვეთის მოთხოვნა, ასევე შესაძლებელია, რომ დამკვეთმა თავად შეიძინოს მასალები და მიაწოდოს კონტრაქტორს, ესეთ შემთხვევაში კონტრაქტორი მიწოდებული ან/და განახლებული მასალის ფასს დაარიცხავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის დანარიცხებს (ზედნადები ხარჯი და მოგება)

<u>ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:</u>

1.1 ტენდერში მონაწილე კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი წერილი. (იხ. ნიმუში, ფოლდერ “ნაწილი 1”)

1.2 ხარჯთაღრიცხვა.

1.3 დეტალური გეგმა – გრაფიკი.

1.4 დეტალური ფინანსური გრაფიკი.

1.5 ცნობა ბანკიდან კონტრაქტორის სახელზე საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გაცემის მზაობაზე.

1.6 ცნობა ბანკიდან კონტრაქტორის სახელზე ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის გაცემის მზაობაზე.

1.7 განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ ტენდერში მონაწილე არ იმყოფება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის პროცესში.

1.8 დღგ-ის გადამხდელის ცნობა;

1.9 შესრულებული პროექტების ჩამონათვალი.

2. სატენდერო დოკუმენტაციის ჩაბარების წესი, თარიღი და საკონტაქტო ინფორმაცია

ტენდერი ჩატარდება ელექტრონული წესით პლატფორმაზე WWW.TENDERERS.NET. პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია მითითებულ ვებ გვერდზე.

ტენდერის დასრულების ვადაა: 2021 წლის 21 ივნისი, 18:00 საათი.

ტენდერის შესახებ ნებისმიერი კითხვით შეგიძლიათ მოგვმართოთ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: t.kereselidze@tenderers.net

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოგვმართოთ შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: g.jachvliani@cmc.ge ან დაგვიკავშირდეთ: 577 28 27 33

3. პროექტის აღწერა

პროექტი მოიცავს ქ. სიღნაღში ეკა ბეჟანიშვილის ქ. #26-ში მშენებარე სასტუმრო კომპლექსისთვის ხმის დამხშობი ბარიერების შესყიდვა და მოწყობა.

პროექტის ზოგადი აღწერა, განხორციელების ვადები:

სიღნაღის სასტუმროს ჩრდილოეთის ფერდის მხარეს, რომელიც სიღნაღს გადაჰყურებს გადის საავტომობილო გზა, ფერდის გასწვრივ უნდა მოეწყოს ხმის ჩამხშობები, რომლის სავარაუდო სიგრძე წარმოადგენს 425 მეტრს. (ფოტომასალა იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო ნახაზები შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ მოცემული ლინკიდან: https://we.tl/t-eqZfaXwoMs)

შენიშვნა: იქნება თუ არა საჭირო მთელი ჩრდილოეთის ფერდის გასწვრივ ჩამხშობის მოწყობა უნდა გაგვიზიაროს მონაწილე კოპანიამ.

სამუშაოების დაწყების სავარაუდო თარიღი: 2021 წლის 15 ივლისი

4. დამკვეთის ვალდებულებები

4.1 დამკვეთის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელის ვალდებულებაში შედის:

- სამშენებლო მოედნისა გადაცემა კონტრაქტორისათვის

- კონტრაქტორის ნახაზების განხილვა და დამტკიცება (საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს და დამკვეთს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუშა ნახაზები. კონტრაქტორის მუშა ნახაზების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება (დამტკიცება ან უარყოფა ან კორექტირება, ან მითითებების მიცემა) უნდა მოხდეს მათი ჩაბარებიდან 5 სამუშაო

დღეში. დამკვეთის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მუშა ნახაზების დამტკიცება არ ათავისუფლებს კონტრაქტორს მის მიერ ნაკისრი ზოგადი პასუხისმგებლობისაგან საამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე და არ აძლევს დამატებითი ხარჯების მოთხოვნის საფუძველს)

- შესრულებული სამუშაოების შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარება: დამკვეთი ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია განახორციელოს კონტრაქტორის სამუშაოების შემოწმება და საბოლოო ჩაბარება.

- დამკვეთი ვალდებულია კონტრაქტორს აუნაზღაუროს შუალედური ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

5. კონტრაქტორის ვალდებულებები

5.1 კონტრაქტორის ვალდებულებაში შედის

- სატენდერო დოკუმენტებისა და სამშენებლო უბნის შემოწმება (ტენდერის მონაწილე ვალდებულია შეამოწმოს საამშნებლო ობიექტი, გაეცნოს საამშნებლო უბნის მდგომარეობას, არსებულ ან/და მომიჯნავე სამუშაოებს და შეაგროვოს ყველა ინფორმაცია რაც საჭიროა საამშენებლო სამუშაოების სწორი გაანგარიშებისა და განფასებისთვის.

- კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური შემოწმება და შესწავლა. ნებისმიერი ნაკლოვანების ან/და შეუსაბამობის შემთხვევაში ტენდერის მონაწილემ უნდა მიმართოს დამკვეთს შესაბამისი დასაბუთებით, არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებამდე 5 დღით ადრე. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მოთხოვნილი ნებისმიერი ცვლილება ვერ იქონიებს გავლენას ხელშეკრულების ერთეულის ფასსა და სამუშაოთა შესრულების დროის გრაფიკზე.

- საამშენებლო სამუშაოების განხორციელება და კოორდინაცია (სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, მათ შორის ყველა საჭირო მოსამზადებელი და სამშენებლო უბნის საორგანიზაციო სამუშაოს ჩათვლით).

- სხვა ნებისმიერ მესამე მხარესთან ურთიერთობების კოორდინაცია, კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელ ნებისმიერ სამუშაოებთან მიმართებაში; ამგვარი ურთიერთობები წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელთან.

- დამკვეთის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ინსტრუქციების შესრულება და მათი მოთხოვნის შესაბამისად, გონივრულ ვადაში მათი საჭირო დოკუმენტებით ან/და ინფორმაციით უზრუნველყოფა.

- კონტრაქტორი ვალდებულია აწარმოოს ყველა მიმდინარე საამშენებლო დოკუმენტაცია.

- კონტრაქტორი ვალდებულია საამშენებლო უბანზე დაიცვას შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის სტანდარტები საქართველოს კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით.

- კონტრაქტორი ვალდებულია მოახდინოს ობიექტიდან საამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების რეგულარულად გატანა და შესაბამისი წესით გადაყრა. კონტრაქტორის ვალდებულებაა საკუთარი

ხარჯებით უზრუნველყოს ობიექტის მის მიერ წარმოქმნილი ნაგვისგან მუდმივად დასუფთავება და გატანა.

- კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთის მოთხოვნისამებრ, წარადგინოს ნებისმიერი მასალის ნიმუში ან/და დეტალური მეთოდოლოგია, სადაც ნაჩვენები იქნება ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების მიმდინარეობა და მეთოდიკა.

- დამკვეთის მიერ განსაზღვრული დეფექტებისა და ნაკლოვანებების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

- კონტრაქტორი ვალდებულია საამშენებლო სამუშაოები აწარმოოს საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო რეგულაციის და სტანდარტების დაცვით.

6. სამუშაოების გეგმა-გრაფიკი

პროექტირების, ისევე როგორც მშენებლობის პროგრესის გეგმა-გრაფიკი წინასწარ უნდა იქნას შემუშავებული კონტრაქტორის მიერ და უნდა წარედგინოს დამკვეთს დასამტკიცებლად. აღნიშნული დოკუმენტი თან უნდა დაერთოს სატენდერო წინადადებას.

ხელშეკრულების ხელმოწერიდან მაქსიმუმ 5 დღეში კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს განახლებული, საბოლოო, დეტალური გეგმა-გრაფიკი. გრაფიკი უნდა მოიცავდეს სამშენებლო სამუშაოების ყველა ეტაპს. გრაფიკი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს დამკვეთის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

ნებისმიერი ცვლილებების შემთხვევაში ან/და დამკვეთის წარმომადგენლის მიერ გაცემული ინსტრუქციის შემთხვევაში კონტრაქტორმა გონივრულ ვადაში უნდა მოახდინოს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის განახლება.

7. დოკუმენტაცია / საშემსრულებლო ნახაზები

საამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს შემდეგი დოკუმენტები:

- დოკუმენტაცია გამოყენებული მასალების შესახებ;

- სამუშაოების ხარისხის კონტროლის და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია (ტესტები, სერტიფიკატები და ა.შ.);

- საშემსრულებლო ნახაზები, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთის უფლებამოსილ წარმომადგენელთან და პროექტზე ნომინირებულ საპროექტო ჯგუფთან;.

- ფოტო დოკუმენტაცია.

შენიშვნა: საშემსრულებლო ნახაზები წარმოდგენილი უნდა იქნას: 2 (ორი) მარკირებული და აკინძული ეგზემპლარის სახით და ასევე ციფრულ ფორმატში (“პდფ” + “დვგ” ფაილები).

8. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას მაღალი ხარისხით და უნდა შეესაბამებოდის საქართველოში მოქმედ ხარისხის სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

კონტრაქტორი უფლებამოსილია შეცვალოს მის მიერ გამოყენებული ტექნიკა-აღჭურვილობა, მასალები, ან სამუშაოთა შესრულების მეთოდოლოგია და ჩაანაცვლოს ისინი ხარისხობრივი მაჩვენებლით მათი ექვივალენტური ალტერნატივებით, რომლებიც შეესაბამება მოქმედ ადგილობრივ და ევროპულ სტანდარტებს და რომლებიც წინასწარ შეთანხმებული და დამტკიცებული უნდა იქნას დამკვეთის წარმომადგენლის მიერ.

კონტრაქტორმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს ტექნიკა-აღჭურვილობის ტექნიკური ინსპექტირების დოკუმენტაცია.

9. საავანსო გადახდა

ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებს სრული სახელშეკრულებო ღირებულების მაქსიმუმ 30% (ოცდაათი) ავანსირებას. ავანსირება მოხდება კონტრაქტორის მიერ შესაბამისი თანხის საბანკო გარანტიის წარდგენიდან მაქსიმუმ 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

მიღებული ავანსის დაქვითვა იწარმოებს პირდაპირპროპორციულად ყოველი შესრულებული სამუშაოს აქტებიდან;

კონტრაქტორის მერ წარმოდგენლი საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუხმობადი, რომლის ვადაც ავანსად მიღებული თანხით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 30 კალენდარული დღით.

10. დეფექტების გამოსწორების პერიოდი და ხარისხის უზრუნველყოფის დაკავება

ყოველი შუალედური შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან კონტრაქტორს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაუკავდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%-ი. ჯამურად ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის ანაზღაურება მოხდება დეფექტების გამოსწორების პერიოდის ვადის გასვლიდან 10 დღეში. დეფექტების გამოსწორების პასუხისმგებლობის პერიოდად განსაზღვრულია 12 (თორმეტი) თვე, რომლის ათვლაც დაიწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან. კონტრაქტორს უფლება აქვს გამოითხოვოს დაკავებული საგარანტიო უზრუნველყოფის თანხა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე თუ ის მოცემულ თანხაზე წარადგენს უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას, რომლის ვადაც 30 დღით უნდა აღემატებოდეს დეფექტების გამოსწორების პასუხისმგებლობის პერიოდს.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

კონტრაქტორი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობის ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, რომლის ვადაც მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადას.